შუალედური ანგარიში №2*

26 აპრილი–9 მაისი, 2008 წელი

მოკლე შინაარსი

- ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) არჩევნებისთვის აქტიურ მზადებას განაგრძობდა. მან რეგისტრაციაში თორმეტივე კანდიდატთა სია გაატარა. დასრულდა ან კვლავ მიმდინარეობს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგი. მიუხედევად იმისა, რომ კანონი ცესკო-ს კოლეგიალურობას ავალდებულებს, ეს რეალურად არ ხორციელდება;

- ცესკო-მ ამომრჩეველთა მიერ სიებში საკუთარი მონაცემების გადამოწმების ვადა სამი დღით გააგრძელა. ოპოზიცია კვლავ გამოთქვამს შეშფოთებას ამომრჩეველთა სიებში არსებულ უზუსტობებთან დაკავშირებით, აცხადებს რა, რომ სიებში შეყვანილნი არიან გარდაცვლილი და არარსებულ მისამართებზე რეგისტრირებული პირები, ასევე ადგილი აქვს დუბლირებას;

- საანგარიშო პერიოდში საარჩევნო კამპანიამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აქტიურ კამპანიას აწარმოებდა. საარჩევნო კამპანიის წარმოება სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც დაიწყეს. ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო – ახალი მემარჯვენეების" (გაერთიანებული ოპოზიცია) ზოგიერთმა ლიდერმა ცესკო-ს თავმჯდომარეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამასთანავე, ,,გაერთიანებული ოპოზიციის" ახალგაზრდულმა ფრთამ დემონსტრაცია ცესკო-ს თავმჯდომარის სახლთან გამართა;

- ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ უამრავი განცხადება მიიღო ფართოდ გავრცელებული დაშინების ფაქტების, საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კამპანიის უკანონოდ წარმოებისა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შესახებ. ზოგიერთი განცხადების დადასტურება შესაძლებელი გახდა. ცაგერში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ჩანაწერი, რომელშიც იგი საჯარო მოხელეებს თანამდებობიდან დათხოვნით ემუქრებოდა, თუ ისინი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" ვერ შეძლებდნენ 80%-იანი მხარდაჭერის მოპოვების უზრუნველყოფას. საქართველოს პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკაცრი განცხადებები გააკეთეს, რითაც საჯარო მოხელეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდეს, თავი შეეკავებინათ საარჩევნო პროცესებში ჩარევისგან;

---

* ამ დოკუმენტის მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია არის ოფიციალური.

- დღემდე შეტანილი ფორმალური საჩივრები და განცხადებები საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს უკავშირდება. რამდენიმე საჩივარი საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ დარღვევებს შეეხება. საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს სათანადოდ არ განუხილავთ საჩივრები და განცხადებები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ იყო შეტანილი. ზოგჯერ მათ უარი განაცხადეს სათანადო მოწმის მოსმენაზე ან დოკუმენტირებული სამხილის ნახვაზე. ისინი ასევე ვერ ახერხებდნენ ყველა სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას, უგულებელყოფდნენ კანონის არსს, ან ვერ იძლეოდნენ სამართლებრივ არგუმენტაციას;

- ,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა" და კერძო ნაციონალურ და რეგიონალურ ტელეკომპანიათა ეთერში გასულმა რეგულარულმა თოქ შოუებმა და პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შორის გამართულმა დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს აზრთა გაცვლისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმა შესთავაზა. ამასთანავე, პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს საშუალება მიეცათ, გამოეყენებინათ ,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა" და კერძო ტელეკომპანიების უფასო საეთერო დრო როგორც თავიანთი საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციისთვის, ისე სარეკლამო რგოლების განსათავსებლად. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის წინასწარმა შედეგებმა აჩვენა ბალანსის ნაკლებობა საუკეთესო საეთერო დროის (პრაიმ-ტაიმის) საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატების გაშუქების კუთხით იმ ტელეარხებზე, რომელთა მონიტორინგსაც მისია აწარმოებს. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს ,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი" წარმოადგენს. აღნიშნული დისბალანსი ცალკეული ტელეკომპანიის მიხედვით რომელიმე ერთი პარტიის სასარგებლოდ იკვეთება;

- ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების პროპორციულ სიებში ქალთა წილი 8-დან 32%-მდე მერყეობს. ამასთანავე, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში კანდიდატთა 13%-ს ქალები შეადგენენ. ზოგიერთმა საარჩევნო სუბიექტმა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კანდიდატებად დაასახელა. ცესკო-მ საარჩევნო დოკუმენტაცია და მასალები ეროვნულ უმცირესობათა ენებზეც წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღეს ამომჩეველთა სიები ეროვნული უმცირესობების ენებზეც იქნება ხელმისაწვდომი, სიებში საკუთარი მონაცემების გადამოწმების პერიოდში სიათა მხოლოდ ქართულენოვანი ვერსიები არსებობდა.

პოლიტიკური და საარჩევნო გარემო

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო კამპანია გააქტიურდა. მმართველი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ინტენსიურ კამპანიას აწარმოებდა, ისევე როგორც პარტიული სიის წამყვანი ფიგურები, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების კანდიდატები და ადგილობრივი პარტიული აქტივისტები. კამპანიის წარმოება დაიწყო ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამაც, განსაკუთრებით კი, წამყვანმა პოლიტიკოსებმა იმ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, სადაც ისინი კანდიდატებად არიან დასახელებულნი. საარჩევნო აქტივობები მასობრივი აქციების ნაცვლად, ძირითადად შედარებით მცირემასშტაბიანი ღონისძიებებით შემოიფარგლებოდა. ბილბორდების საშუალებით პოლიტიკური რეკლამები ძირითადად თბილისში ხორციელდება, უმეტეს შემთხვევაში კი, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის განცხადებით, მათ თანაბრად არ მოუწვდებოდათ ხელი კომერციულ ბილბორდებზე. ბილბორდების მფლობელების მტკიცებით კი, ისინი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის არის ხელმისაწვდომი.

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საარჩევნო კამპანიისას აქცენტს პენსიების გაზრდის, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების გზით სიღარიბის დაძლევაზე, ასევე მთავრობის მიღწევებზე აკეთებს. ადგილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიების მიერ კონკრეტულ თემებზე აგებულ საარჩევნო კამპანიებს. როგორც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ისე ოპოზიციური პარტიები ყურადღებას ხშირად ადგილობრივ პრობლემებზე ამახვილებდნენ. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ განხორციელებული კამპანია ნეგატიური ტონალობით გამოირჩეოდა, უნდობლობას უცხადებდა რა საარჩევნო პროცესების სამართლიანობას და აქცენტს დარღვევებსა და მთავრობის მიერ არჩევნების მანიპულაციის გეგმებზე აკეთებდა.

ზოგიერთმა წამყვანმა ფიგურამ ,,გაერთიანებული ოპოზიციიდან" პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მისამართით მწვავე გამოთქმები გამოიყენა. უფრო მეტიც, მათ ცესკო-ს თავმჯდომარეს პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენეს. 1 მაისს ,,გაერთიანებული ოპოზიციის" მარში ცესკო-ს მიმართულებით პოლიციასთან მწვავე დაპირისპირებით დასრულდა. მათ არჩევნების დღეს ცესკო-ს შენობასთან დემონსტრაციების გამართვის მოწოდება გააკეთეს. 3 მაისს ,,გაერთიანებული ოპოზიციის" ახალგაზრდულმა ფრთამ დემონსტრაცია ცესკო-ს თავმჯდომარის სახლთან მოაწყო.

საარჩევნო კამპანიაზე გავლენა იქონია და ნაწილობრივ დაჩრდილა აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დაძაბვამ. ოპოზიციის ლიდერებმა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიმდინარე მოვლენების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებაში – საარჩევნო ქულების ჩაწერაში – დაადანაშაულეს.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით

უამრავი განცხადება მიიღო. აღნიშნული განცხადებები მოიცავს ფართოდ გავრცელებულ დაშინების ფაქტებს, მათ შორის კანდიდატების, პარტიის აქტივისტებისა და სახელმწიფო მოსამსახურეების, განსაკუთრებით კი, მასწავლებლების მისამართით, ასევე საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კამპანიის უკანონოდ წარმოებას[1] და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას. დაშინებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კონკრეტულ განცხადებებს შორის OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ რამდენიმე ფაქტი დაადასტურა. მაგალითად, კახეთში მასწავლებელი, რომელმაც საკუთარი მხარდაჭერა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ,,რესპუბლიკური პარტიისკენ" მიმართა, სკოლის დირექტორმა გააფრთხილა, რომ მას სამსახურიდან დაითხოვდნენ, თუ იგი პოზიციას შეიცვლიდა. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივმა კანდიდატმა მასწავლებელს პარტიისადმი ერთგულების სანაცვლოდ, ხელფასის გაორმაგება შესთავაზა. მასშტაბური ხასიათი აქვს განცხადებებს იმის თაობაზე, რომ თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების ნათესავები ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ გარანტირებული ხმების მოგროვებას შეძლებენ, აღნიშნული პირები პატიმრობიდან გათავისუფლდებიან. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას სარწმუნო მოწმემ აცნობა, თუ როგორ შეპირდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი თბილისში ერთ-ერთ ქალბატონს მისი დაპატიმრებული ვაჟის გათავისუფლებას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ რამდენიმე ასეული გარანტირებული ხმის შეგროვების სანაცვლოდ.

5 მაისს ,,გაერთიანებულმა ოპოზიციამ" წარმოადგინა აუდიოჩანაწერი, რამაც ცაგერში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი სახელმწიფო მოხელეების დაშინებაში ამხილა. მათ თანამდებობიდან დათხოვნა ემუქრებოდათ, თუ ისინი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" 80%-იანი[2] მხარდაჭერის მოპოვების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდნენ. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა მოისმინეს ბევრი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სექტორის მოხელეებზე მსგავსი ზეწოლა ხშირად ხორციელდებოდა. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. გენერალურმა პროკურატურამ ამის თაობაზე გამოძიება 9 მაისს დაიწყო. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც 3 მაისს საჯარო მოხელეებს მოუწოდა, არ ჩარეულიყვნენ საარჩევნო პროცესებში, მწვავე რეაგირება მოახდინა ცაგერში მომხდარ შემთხვევაზე და მათ არაკანონიერი ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. 5 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა თავისი ოფიცრები, არ ჩაერიონ არჩევნებში და ყველა პარტიისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა უზრუნველყონ.

---

[1] საარჩევნო კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიტიკურ თანამდებობის პირებსა და საჯარო მოსამსახურეებს. მაშინ, როდესაც პოლიტიკური თანამდებობის პირებს აქვთ უფლება აწარმოონ კამპანია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საჯარო მოსამსახურეები კი, ამ უფლებით ვერ სარგებლობენ.

[2] ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის შეფასებით ცაგერში საჯარო სამსახურში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა.

მთავრობის პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, სოფლებში საწვავის ვაუჩერები რიგდება. ვაუჩერების დარიგების პროცესი პერიოდულად ერწყმოდა საარჩევნო კამპანიას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ, რაც ზღვარს სახელმწიფო ღონისძიებებსა და საარჩევნო კამპანიას შორის ბუნდოვანს ხდიდა. ეს კი, ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს ეწინააღმდეგება. თბილისში, კრწანისის რაიონის სოფელ ფონიჭალაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი შეუერთდა თბილისის მერს საწვავის ვაუჩერების დარიგების პროცესში და კამპანიაში ჩაერთო. ტყიბულში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას დაუდასტურეს, რომ ისინი საწვავის ვაუჩერებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისიდან არიგებდნენ.

გაკეთდა ბევრი განცხადება იმის თაობაზე, რომ გამგებლები ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში ერთვებოდნენ, რაც მათ ეკრძალებათ, იქედან გამომდინარე, რომ ისინი არიან საჯარო მოსამსახურეები და არა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები. 5 მაისს ქარელის ახლოს მდებარე სოფლებში, შიდა ქართლის გამგებელი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად საარჩევნო კამპანიის წარმოებაში იყო ჩართული. სოფელ ქვენათკოცაში წინასაარჩევნო ღონისძიება სოფლის სკოლაში ჩატარდა. სკოლის დირექტორმა, რომელიც ამავე დროს სკოლის შენობაში განთავსებული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა, სკოლა დახურა და ბავშვებს გუბერნატორისა და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის დახვედრა უბრძანა. საუბნო საარჩევნო კომისია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პლაკატებით იყო სავსე. ოპოზიციური პარტიები ასევე აცხადებენ, რომ მათ და ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ადმინისტრაციულ რესურსებზე ხელი არათანაბრად მიუწვდებათ. მაგალითად, ,,რესპუბლიკელებს" უარი უთხრეს თბილისში, ისნის უბანში მდებარე სომხური თეატრის შენობის გამოყენებაზე, მაშინ, როდესაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა იქ თავისი ოფისის გახსნა შეძლო.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საანგარიშო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) საპარლამენტო არჩევნებისთვის აქტიურ მზადებას განაგრძობდა. ცესკო აწყობდა ხშირ სხდომებს, რომლებზედაც დასწრება თავისუფალი იყო დამკვირვებლებისთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის და მედიისთვის. ცესკო-მ 12-ვე საარჩევნო სუბიექტის კანდიდატთა სია დაარეგისტრირა, დაამტკიცა საარჩევნო მასალათა ფორმები, ასევე კენჭისყრის შემაჯამებელი სადემონსტრაციო ოქმის, საარჩევნო ბიულეტენისა და საუბნო საარჩევნო კომისიის არჩევნების დღის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა.

საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქს უნდა მიეკუთვნოს ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიცემული ხმები, ჯერ

კიდევ გადაუწყვეტელია. მიუხედავად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მიცემული ხმები მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიაში დათვლილიყო, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა ცესკო-ს წევრებმა შესაბამისი განკარგულების მიღება საჭირო ხმათა ორი მესამედით[3] სამჯერ დაბლოკეს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ცესკო-ს ავალდებულებს იმოქმედოს, როგორც კოლეგიალურმა ორგანომ, ეს რეალურად არ ხორციელდება. მაგალითად, ცესკო-ს თავმჯდომარემ გენერალურ პროკურორს წერილობით აცნობა განკარგულების ვერმიღების თაობაზე და წერილს თან დაურთო ცესკო-ს თითოეული წევრის მიერ ხმის მიცემის ოქმი.

საარჩევნო უბნებში ვიდეოთვალის დაყენების პროცესი დაიწყო. 7 მაისს ოპოზიციის მიერ დანიშნულმა ცესკო-ს წევრებმა აღნიშნული პროცესის ცესკო-ს გადაწყვეტილებით დარეგულირება მოითხოვეს, კერძოდ კი, იმ რეგიონების განსაზღვრა, სადაც ვიდეოთვალი უნდა დამონტაჟდეს, ასევე წინა არჩევნების ვიდეოჩანაწერების შენახვა, რომლებზედაც ახალი ინფორმაცია არ უნდა გადაიწეროს. თუმცა, ამ მოთხოვნას ხმათა საჭირო რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ცესკო-ს თავმჯდომარემ აცნობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს არსებული საუბნო საარჩევნო კომისიების სადავო ჩანაწერები შეინახება, ხოლო სხვა საუბნო საარჩევნო კომისიების ჩანაწერებს კი, ახალი ინფორმაცია გადაეწერება.

1–3 მაისს საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ერთდღიანი ტრენინგი ჩატარდა. 4 მაისს კი, ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის დაიწყო. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ტრენინგი დადებითად შეაფასეს. მათი განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიებს ზოგადად, კარგად აქვთ გათვითცნობიერებული თავიანთი მოვალეობები. თუმცა, ოპოზიური პარტიების მიერ დანიშნული პირები საოლქო საარჩევნო კომისიათა საქმიანობებიდან ხანდახან გამოთიშული[4] არიან. საოლქო საარჩევნო კომისიები არ მოქმედებენ, როგორც კოლეგიალური ორგანო[5]. საოლქო საარჩევნო კომისიათა სხდომები ხშირად საგანგებო რეჟიმში იმართება. მიუხედავად იმისა, რომ მათზე დასწრება ზოგადად თავისუფალია, დამკვირვებლები და პარტიის

---

[3] საარჩევნო კოდექსის 15-ე მუხლის მიხედვით, ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისია არ ატარებს მაჟორიტარულ არჩევნებს. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შენარჩუნების მიზნით, მაჟორიტარულ არჩევნებში ხმის მისაცემად, ამ საოლქო საარჩევნო კომისიის ამომრჩევლები მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა მიუერთდნენ. სასამართლომ ამის განსახორციელებლად, ცესკო-ს დადგენილების გამოცემა დაავალა.

[4] ოპოზიციის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამაკვირვებლო მისიასთან უკმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციის მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ყოველთვის არ მიუწვდებოდათ ხელი სათანადო დოკუმენტებზე და ყოველთვის არ იყვნენ ინფორმირებული საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების გამართვის თაობაზე. OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ეს ინფორმაცია დაადასტურეს.

[5] ვანის, გურჯაანის, ხელვაჩაურისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიები.

წარმომადგენლები ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში[6] მათი გაუმჭვირვალობის თაობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ცესკო-მ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა 3,358 მუდმივი საუბნო საარჩევნო კომისია და 72 სპეციალური საარჩევნო უბანი[7], ასევე 47 საარჩევნო უბანი საზღვარგარეთ. მიუხედავად იმისა, რომ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები ზოგადად კარგად ფუნქციონირებდნენ, მათ საუბნო საარჩევნო კომისიების მომზადების დონე ზოგიერთ უბანზე[8] შეაფასეს, როგორც ძალიან დაბალი. კონკრეტულად, მათ აღნიშნეს, რომ ისინი არ იყვნენ გათვითცნობიერებული საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებების თაობაზე და არ გამოხატავდნენ სურვილს, აქტიურად მიეწოდებინათ ინფორმაცია ამომრჩევლისთვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში.

არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ეცნობა პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მისამართით განხორციელებული მთელი რიგი საკადრო ცვლილებების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცვლილება იმით იქნა ახსნილი, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ მოახერხეს სათანადო კანდიდატების შერჩევა, არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს ეცნობათ იმას თაობაზე, რომ პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აიძულეს გადამდგარიყვნენ[9].

ცესკო-მ პირველად გამოსცა სამართლებრივი აქტების კრებული, რომელიც მოიცავს საარჩევნო კოდექსს, ყველა დონის საარჩევნო კომისიის რეგლამენტებს, ცესკო-ს მიერ არჩევნების პერიოდში მიღებულ განკარგულებებსა და დადგენილებებს, ასევე სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, როდესაც ცესკო მხარედ იყო წარმოდგენილი.

ცესკო-მ ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია დაიწყო. სატელევიზიო სარეკლამო რგოლებისა და ბროშურების მეშვეობით იგი ამომრჩეველს აწვდის ინფორმაციას ამომრჩეველთა სიების, საზღვარგარეთ ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ხმის მიცემის ფარულობისა და კენჭისყრაში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მონაწილეობის მიღების თაობაზე.

---

6 დუშეთის, ბოლნისისა და წალკის საოლქო საარჩევნო კომისიები.

7 სამხედრო ყაზარმებში/ნაწილებში, წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, საავადმყოფოებში და ა.შ., სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს აჭარბებს. ორი საარჩევნო უბანი გაიხსნა ერაყში მომსახურე ქართველი ჯარისკაცებისთვის.

8 მაგალითად, ქვემო ქართლისა (გარდაბნისა და მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიები) და გურიის რეგიონის სოფლებში, ასევე თბილისში, კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

9 მაგალითად, მცხეთისა და ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

5 მაისს ცესკო-მ, ოპოზიციის მიერ დანიშნული ცესკო-ს წევრების მოთხოვნის საფუძველზე, ამომრჩეველთა მიერ სიის გადამოწმების ვადა სამი დღით – 8 მაისამდე გააგრძელა. ცესკო-ს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 13,000 მოქალაქემ გადაამოწმა თავი საარჩევნო სიაში ცესკო-ს ცხელი ხაზის მეშვეობით, 8,000-მა გამოიყენა SMS შეტყობინებაზე დაფუძნებული სერვისი, 29,000-ზე მეტმა ამომრჩეველმა კი, მიმართა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს შესწორების შეტანის მოთხოვნით, რომელთა გადამოწმება ახლა მიმდინარეობს. ცესკო-მ ხშირად გამართა ბრიფინგები, რათა ამომრჩევლებისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე ეცნობებინა. მედიამ ინფორმაცია ამის თაობაზე ამომრჩეველს მიაწოდა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩევლები აქტიურად არ იყენებდნენ უფლებას, გადაემოწმებინათ თავი საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოკრულ ამომრჩეველთა სიებში. ზოგადად, კომისიები არ იყვნენ პროაქტიურები ამომრჩეველთა სიის შემოწმების თვალსაზრისით. თუმცა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ გადასამოწმებლად ცესკო-დან სიაში ცდომილებათა ჩამონათვალი მიიღო.

ოპოზიციური პარტიები კვლავ გამოთქვამენ შეშფოთებას ამომრჩეველთა სიებში არსებულ უზუსტობებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათი განცხადებით ამომრჩეველთა სიები გაბერილია გარდაცვლილი და არარსებულ მისამართებზე რეგისტრირებული პირების, ასევე დუბლიკატების არსებობის ხარჯზე. ,,რესპუბლიკურმა პარტიამ" არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ცესკო-ს მიერ მათთვის მიწოდებული ამომრჩეველთა სიის გადამოწმების შედეგად მათ დააფიქსირეს მრავალი შემთხვევა, როდესაც 18-დან 80-მდე ამომრჩეველი ერთსა და იმავე მისამართზე იყო დარეგისტრირებული. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დაადასტურეს ეს ინფორმაცია თბილისსა და ბათუმში, სადაც ბინის მფლობელებმა მათ ბინაში დარეგისტრირებული ბევრი ადამიანის თაობაზე არაფერი იცოდნენ. იუსტიციის სამინისტროს მიხედვით, თბილისში სულ დაფიქსირდა 376 მისამართი, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. სამოქალაქო რეესტრმა ამ ბინათა მფლობელებს შეტყობინება გაუგზავნა, რათა მათ ბინაში დარეგისტრირებულ ადამიანთა რეგისტრაცია გაეუქმებინათ. შედეგად, რეგისტრაცია 44 ადამიანს გაუუქმდა. უფრო მეტიც, თბილისში, საბურთალოს რაიონში, დაფიქსირებულია 692 მისამართი ბინის ნომრის გარეშე, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი არის დარეგისტრირებული. ამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 12,119-ს შეადგენს.

მედია

,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა" და კერძო ნაციონალურ და რეგიონალურ ტელეკომპანიათა ეთერში გასულმა რეგულარულმა თოქ შოუებმა და

პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შორის გამართულმა დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს აზრთა გაცლისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმა შესთავაზა. ,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გამართული დებატები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ,,გაერთიანებული ოპოზიცია" და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", 15 მაისს გაიმართება. ამასთანავე, პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს მიეცათ საშუალება გამოეყენებინათ ,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელისა" და კერძო ტელეკომპანიების უფასო საეთერო დრო როგორც თავიანთი საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციებისთვის, ისე სარეკლამო რგოლების განსათავსებლად.

კანონით, ყველა საარჩევნო სუბიექტს აქვს უფლება და თანაბარი პირობები იყიდოს საეთერო დრო/სივრცე პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად. თუმცა, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიასთან უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ტელევიზიებში პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის დაწესებული მაღალი ტარიფი (რომელიც არაპოლიტიკური რეკლამის ტარიფს დაახლოებით ათჯერ აღემატება) მათ მედიაში საარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობას უზღუდავდა. ჯერჯერობით მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა პარტიამ ან ბლოკმა – ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (,,რუსთავი 2-ზე", ,,მზეზე" და ,,კავკასიაზე"), ,,გაერთიანებულმა ოპოზიციამ" (,,კავკასიაზე") და ,,ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" (,,რუსთავი 2-ზე") იყიდა საეთერო დრო რეკლამის განსათავსებლად.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის წინასწარმა შედეგებმა აჩვენა ბალანსის ნაკლებობა საუკეთესო საეთერო დროის (პრაიმ-ტაიმის) საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატების გაშუქების კუთხით იმ ტელეარხებზე, რომელთა მონიტორინგსაც მისია აწარმოებს. ჯერჯერობით, მხოლოდ ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" მაყურებელს კამპანიის ყველაზე უფრო დაბალანსებული სურათი შესთავაზა. 10 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით, ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" თავისი პოლიტიკური და საარჩევნო პრაიმ-ტაიმის (საუკეთესო სარეკლამო დროის) საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო დაუთმო ,,გაერთიანებულ ოპოზიციას" (20%) და ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (16%). ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გაშუქების ტონალობის 65% იყო დადებითი, 31% – ნეიტრალური, 4% კი – უარყოფითი. ძირითადი ოპოზიციური ბლოკის გაშუქების ტონალობის 22 % შეფასდა როგორც დადებითი და 78% როგორც ნეიტრალური. ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" კვლავ განაგრძო დიდი და კეთილგანწყობილი სიუჟეტების მიძღვნა ხელისუფლების ღონისძიებების მიმართ, რომლებსაც კამპანიური ხასიათი არ აქვთ, რითაც ხელისუფლების მომხრე კანდიდატები მომგებიან პოზიციაში ჩააყენა.

ორმა კერძო ტელეკომპანიამ, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ – ,,რუსთავი 2-მა" და ,,მზემ" – თავიანთი ახალი ამბების გამოშვებებში ბოიკოტი გამოუცხადეს ,,გაერთიანებულ ოპოზიციას". ,,მზის" ბოიკოტი 26 აპრილამდე

გაგრძელდა, ,,რუსთავი 2-ის" კი – 28 აპრილამდე[10]. ბოიკოტისას ორივე ტელეკომპანიამ კონცენტრირებული და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა მმართველი ხელისუფლების ღონისძიებებს. 10 აპრილიდან 28 აპრილამდე ,,რუსთავი 2-მა" თავისი პოლიტიკური და საარჩევნო საინფორმაციო ახალი ამბების 67% დაუთმო პრეზიდენტის (27%), ხელისუფლების (19%) და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (21%) ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებები ძირითადად უაღრესად დადებითად ან ნეიტრალურად გაშუქდა. ბოიკოტის გაუქმების შემდეგ, ,,რუსთავი 2-მა" და ,,მზემ" თავიანთი ახალი ამბების გამოშვებებში ძირითადი ოპოზიციური ბლოკის ღონისძიებების გაშუქება დაიწყო, თუმცა გაცილებით იშვიათად, ვიდრე ხელისუფლებისა და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის".

საჯარო ტენდერის მოგების შემდეგ, 31 მარტს ტელეკომპანია ,,მზემ" ხელი მოაწერა კონტრაქტს ქალაქ თბილისის მერიასთან სატელევიზიო გადაცემის დამზადებაზე, რაც გულისხმობს მოსახლეობისთვის ,,თბილისში მიმდინარე სიახლეების, ახალი პროექტების, დედაქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და გეგმების ფართოდ გაცნობას". შედეგად, 1 აპრილიდან ტელეკომპანია ,,მზის" ეთერში გადის 10 წუთიანი ყოველდღიური (სამუშაო დღეებში) გადაცემა სახელწოდებით ,,მზერა თბილისი", რომელიც აშუქებს თბილისში მიმდინარე სიახლეებს. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები, რომლებიც თბილისში, ერთმანდატიან საარჩევნო უბნებში იყრიან კენჭს, და მათი ღონისძიებები ფართოდ შუქდება ამ გადაცემაში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა კანდიდატებთან მიმართებაში, რომლებიც იმავე უბნებში იყრიან კენჭს.

ტელეკომპანია ,,აჭარამ", რომლის მფლობელი აჭარის რეგიონალური ხელისუფლებაა, იგივე მიდგომა გამოიყენა, რაც ,,რუსთავი 2-მა" და ,,მზემ" და თავისი პოლიტიკური და საარჩევნო საინფორმაციო გამოშვებების საუკეთესო საეთერო დროის (პრაიმ-ტაიმის) დიდი წილი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ღონისძიებებს დაუთმო. კერძოდ, ტელეკომპანია ,,აჭარამ", ბათუმის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის ღონისძიებები ინტენსიურად და კეთილგანწყობილი კუთხით გააშუქა, რასაც ჯერჯერობით სხვა კანდიდატებთან მიმართებაში ვერ ვიტყვით.

ზემოთ ნახსენები სამი ტელეკომპანიისგან განსხვავებით, ადგილობრივი ტელეკომპანია ,,კავკასია" დღემდე ოპოზიციის პლატფორმას წარმოადგენს. მან საარჩევნო კამპანიის გაშუქებისთვის გამოყოფილი საეთერო დროის დიდი ნაწილი ,,გაერთიანებულ ოპოზიციას" და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მწვავე კრიტიკას დაუთმო.

---

[10] იხილეთ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიში #1 (www.osce.org/documents/odihr/2008/04/30927_en.pdf).

საჩივრები და განცხადებები

საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში დღემდე შესული საჩივრები და განცხადებები საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს უკავშირდება. რამდენიმე ფორმალური საჩივარი საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ დარღვევებს[11] შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიები კამპანიური ხასიათის ბევრ დარღვევაზე მიუთითებენ, მათ წარმოსაჩენად მედიის გამოყენება უპირატეს სტრატეგიას წარმოადგენს. რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავ სტრუქტურებს მიეწოდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ჯერჯერობით ვერ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით აღმოფხვრას დარღვევები. მოქალაქეებს საარჩევნო კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრების შეტანის უფლება არ აქვთ. როგორც ჩანს, სასამართლო სისტემა იყენებს ერთიან მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველად დასაშვებად მიჩნეული საჩივრების რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი, რათა სასამართლოები ზედმეტად არ გადაიტვირთონ.

საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს ჯერჯერობით სათანადოდ არ განუხილავთ საჩივრები და განცხადებები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ იყო შეტანილი. იყო შემთხვევები, როდესაც მათ უარი განაცხადეს სათანადო მოწმის მოსმენაზე ან დოკუმენტირებული სამხილის ნახვაზე. ისინი ასევე ვერ ახერხებდნენ ყველა სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას[12], უგულებელყოფდნენ კანონის არსს, ან ვერ იძლეოდნენ სამართლებრივ არგუმენტაციას. ცესკო-ს იურისტები სასამართლოში სამართლებრივ საფუძველს მოკლებული არგუმენტაციით გამოდიოდნენ. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, ცესკო-ს იურისტი არ გამოდიოდა ცესკო-ს, როგორც კოლეგიალური ორგანოს, დამცველად და ლოიალურობას იჩენდა მხოლოდ მისი არაოპოზიციური წევრებისადმი. იმავე შემთხვევასთან მიმართებაში, იურისტი ამტკიცებდა, რომ წევრებს აქვთ უფლება საჩივრებზე ხმა საკუთარი ,,შინაგანი რწმენის" მიხედვით მისცენ და რომ ისინი არ არიან კანონით ვალდებულნი[13].

აღსანიშნავია, რომ სამმა ოპოზიციურმა პარტიამ შეიტანა საჩივარი სასამართლოში, რომლითაც ცესკო-ს იმ განკარგულების ბათილად ცნობას მოითხოვდნენ, რომლის მიხედვითაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სია დარეგისტრირდა. საჩივარში ისინი აცხადებდნენ, რომ სია სამართლებრივი პროცედურების დაცვით არ

---

[11] 9 მაისის მონაცემებით საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა დაახლოებით შეადენს: 50 – საოლქო საარჩევნო კომისიებში, 15 – ცესკო-ში, 20 – თბილისის საქალაქო სასამართლოში, 8 – თბილისის სააპელაციო სასამართლოში, 2 – სხვა სასამართლოებში.

[12] მაგალითად, გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ რეგისტრირებულ კანდიდატებსა და პარტიის წარმომადგენლებს ეკრძალებათ ხმების მოსყიდვა. ამგვარად, კამპანიის მწარმოებელი სხვა სუბიექტები ამ უფლებით სარგებლობენ.

[13] პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან შემთხვევებში, ცესკო-ს წევრები ხმას პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აძლევენ.

იყო შეტანილი. მომჩივნებმა ითხოვეს უფლება მოეყვანათ მოწმეები ბრალდების დასადასტურებლად. მოსამართლეებმა უარი განაცხადეს მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე, რის მიზეზადაც შემდეგი გაუმართლებელი გარემოებები მოიყვანეს: დროის ნაკლებობა საარჩევნო პერიოდში, მოწმეთა ჩვენების უსარგებლობა, ასევე ის, რომ ცესკო-ს სხდომის ოქმს[14] არ ერთვოდა ცესკო-ს არც ერთი წევრის განსხვავებული აზრი. სარჩელთა არდაკმაყოფილების შემთხვევებში, სასამართლო დასძენდა, რომ მომჩივნებს ,,უნდა წარმოედგინათ სათანადო მტკიცებულება საჩივარში მოყვანილი გარემოების დასადასტურებლად, რაც მათ არ გაუკეთებიათ[15]".

,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატების მიერ ხმების მოსყიდვასთან და საჯარო მოხელეების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით რამდენიმე საჩივარი შეიტანა. სასამართლოებმა სარჩელები არ დააკმაყოფილეს, შესაბამის სამართლებრივ დებულებებს ფართო ინტერპრეტაცია მისცეს, რის შედეგადაც უგულებელყოფილი იყო კანონის როგორც ფორმალური, ისე არსებითი მხარე; რაც თავისუფლებას აძლევს საარჩევნო სუბიექტებს, მოახდინონ გაუმართლებელი ზემოქმედება ამომრჩევლებზე, ხოლო საჯარო მოხელეებს კი – ერთმანეთში აურიონ თანამდებობრივი მოვალეობები და საარჩევნო ღონისძიებები. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ რეგისტრირებულ კანდიდატებსა და პარტიის წარმომადგენლებს ეკრძალებათ ხმების მოსყიდვა. ამგვარად, კამპანიის მწარმოებელი სხვა სუბიექტები სარგებლობენ ამ უფლებით[16]. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ პირდაპირ მოსთხოვონ მოქალაქეებს, ხმა მისცენ რომელიმე კანდიდატს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საარჩევნო კამპანიის წარმოების სხვა ფორმა დასაშვებია.

ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

საპარლამენტო არჩევნებისთვის დარეგისტრირებულ სამ პოლიტიკურ პარტიას, ყველა მათგანი სხვადასხვა საარჩევნო ბლოკშია შესული, ქალი ხელმძღვანელობს[17]. პროპორციულ სიებში ძირითად პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის ქალ კანდიდატთა პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: ,,ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" – 32%, ,,ლეიბორისტული პარტია" – 28%, ,,რესპუბლიკური პარტია" – 22%, ,,გაერთიანებული ოპოზიცია" – 15%, და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 8%. მაჟორიტარულ არჩევნებში, 45 საარჩევნო ოლქში, 58 ქალი იყრის კენჭს, რაც მაჟორიტარ კანდიდატთა საერთო რაოდენობის 13% შეადგენს.

---

14 საარჩევნო კოდექსის 22-ე (12) მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრს უფლება აქვს, გამოხატოს განსხვავებული აზრი წერილობითი ფორმით.

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლომ მხარი 2008 წლის 28 აპრილს დაუჭირა.

16 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინება, რომელსაც 2008 წლის 24 აპრილს მხარი დაუჭირა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

17 ,,საქართველოს გზა", ,,ქალთა პარტია" და ,,მოძრაობა გაერთიანებული საქართველოსთვის".

ზოგიერთმა პარტიამ და ბლოკმა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები სიებში შეიყვანა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში კანდიდატებად დაასახელა. ,,რესპუბლიკურმა პარტიამ" თავის პარტიულ სიაში ეროვნული უმცირესობის ხუთი წარმომადგენელი შეიყვანა. ,,ლეიბორისტულმა პარტიამ" – ერთი, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" – 8, ,,გართიანებულმა ოპოზიციამ" – 7. ,,ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" სიაში ეროვნული უმცირესობის არც ერთი წარმომადგენელი არ შეიყვანა. ,,რესპუბლიკურმა პარტიამ" და ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" თავიანთ საარჩევნო სიებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს სხვებთან შედარებით სიაში მე-9 და 29-ე ადგილები მიანიჭა. მაშინ, როდესაც ,,გაერთიანებულმა ოპოზიციამ" პროპორციული სისტემით არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს კანდიდატთა სიაში 85-ე ადგილი მიანიჭა. 5 მაისს ეროვნული უმცირესობის ერთმა წარმომადგენელმა ,,გაერთიანებული ოპოზიციის" პროპორციული სისტემით ასარჩევ კანდიდატთა სიის წევრობაზე უარი განაცხადა. რამდენიმე პარტიამ წარადგინა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენს. მაგალითად, მარნეულში ხუთი კანდიდატი, მათ შორის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" და ,,რესპუბლიკური პარტიიდან", ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან. ნინოწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და ,,რესპუბლიკური პარტიის" კანდიდატები კი, ეთნიკური სომხები.

5 მაისს ცესკო-მ წარმოადგინა სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი მასალები, რაც მოიცავდა საარჩევნო ბიულეტენებს, ოქმებს, საარჩევნო კოდექსსა და საუბნო საარჩევნო კომისიის ინსტრუქციებს. ცესკო-ს თავმჯდომარემ აცნობა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველთა სიებიც ასევე ითარგმნება უმცირებობების ენებზე არჩევნების დღეს გამოსაყენებლად. თუმცა, ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმების პერიოდში გამოკრული სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. ცესკო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანიას უმცირესობების ენებზე აწარმოებს.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

კვლავ მიმდინარეობს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დარეგისტრირება. 8 მაისის მონაცემებით, ცესკომ დაარეგისტრირა 31 ადგილობრივი და 13 საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე სამი საელჩო. ერთ ადგილობრივ ორგანიზაციას – ,, საზოგადოების კვლევის ცენტრს" – უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მის წესდებაში არჩევნების მონიტორინგისა და/ან ადამინის უფლებების დაცვის თაობაზე დებულების არარსებობის საფუძველზე, რასაც საარჩევნო კოდექსი მოითხოვს. ორგანიზაცია, რომელიც ცესკო-მ იანვრის არჩვენებისთვის დაარეგისტრირა, სასამართლოში იჩივლა, თუმცა მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საანგარშო პერიოდში, ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან ერთად მოაწყო სემინარი ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებებისა და მოვალეობების თემაზე.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია განაგრძობდა რეგულარულ საქმიანობას, შეხვედრებს სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან, პარტიების წარმომადგენლებთან, საპარლამენტო კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, სასამართლოს ოფიციალურ პირებთან, მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ მისიებთან. მთელი ქვეყნის მასშტაბით განლაგებული გრძელვადიანი დამკვირვებლები განაგრძობენ რეგიონებში წინასაარჩევო კამპანიაზე და არჩევნებისთვის მოსამზადებელ პროცესზე დაკვირვებას და მოკლევადიანი დამკვირვებლების განლაგებისთვის მზადებას. მეორე ბრიფინგი დიპლომატიური კორპუსისთვის და საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის 8 მაისს გაიმართა.